

# ლიტერატურული განეტი

№3(187) 10 - 23 ოქტომბერი 2017

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ნიკა ჯორჯანელი

### ვითარება

ვერ დავიჯერებ,  
ძალას რომ იმისთვის მართმევდი,  
რომ შეუდარებლად მეწერა,  
როცა შეგეძლო ძალა მოგეცა  
და ჩემი შემოქმედებითი უმოქმედობაც კი  
შარავანდით მოირთვებოდა.

ახლა თითქოსდა ვაშავებდე,  
როდესაც არ ვწერ.  
ახლა ყველაფერი,  
რასაც არ დაუწერ,  
შეიძლება ჩემ ნინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

IV

პროზა  
კოეზია  
ჩანაწერები  
ინტერვიუ  
თარგმანი  
რეცეზია

## ზაზა ბიბილაშვილი

კოეზია, დაცარჩენი ლიტერატურა,  
და დაცარჩენი

2016

\*  
როცა ცოცხალ პოეზიაზე კლაპარაკობ, თავისთავად, მასში არ ვგულისხმობ პოეზიას, რომელიც დღევანდელობას, რეალობას, ცხოვრებას იმდენად მოწყვეტილია, რომ შეგვიძლია ვთქვათ, მკვდარი იბადება; მაგრამ არც იმ პოეზიას ვგულისხმობ, რომელიც ისე შერწყმულია დღევანდელობას, რეალობას, ცხოვრებას, რომ უკვე ხვალ მოკვდება.

\*  
ეჭვი მაქს, ზოგჯერ პირიქით არის:  
ავადმყოფობაა და ტანზე გამონაყარი ლექსები ჰგვნიათ.

\*  
ლექსის წაკითხვის შემდეგ არასოდეს მაქს განცდა — ვაიმე, ეს რა საოცრება წავიკითხე!  
ლექსი რა არის, ისიც კარგი არ იყოს.

\*  
ახლა ისეთ რთულ რამეს ვწერ, წარმოდგენა არა მაქს, როგორ უნდა გამოვიდეს. და მხოლოდ გამოცდილებადა მაიმედებს, რომ, რაკი ასეთი განწყობით დაწყებული და გაგრძელებული რაღაცები გამომსვლია, შეიძლება ესეც გამოვიდეს.

\*  
ამ ლექსს მაინც დავამთავრებ!.. ნუ, პოემას მაინც!..

\*  
„კარგი ლექსია — იმიტომ, რომ მე მომწონს, მე კი ლექსი კარგად მესმის“ და „ცუდი ლექსია — იმიტომ, რომ მე არ მომწონს, მე კი ლექსი კარგად მესმის“ — მშვენიერი არგუმენტებია, მაგრამ მაინც იმედი მაქს, რომ მომავლის სალიტერატურო კრიტიკა სხვა პრინციპებსა და კრიტერიუმებსაც დაეფუძნება...

\*  
პოეზია ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოს.

\*  
ხშირია ისეთი ტექსტები, რომლებიც, რომ მოეწოდებინათ, როგორც პუბლიცისტიკა, ვი-ტყოდით — ეს, პუბლიცისტიკა კი არა, პოეზია; მაგრამ რაკი გვაწვდიან პოეზიის სახელით, ვამბობთ, რომ ეს პოეზია კი არა, პუბლიცისტიკაა.  
(ამ სქემაში პუბლიცისტიკის ადგილს შეიძლება იკავებდეს პროზა, ესეი)...

V





## ნიკა ჯორჯანელი

მთხვე

მთები და მთები... არაფრისგან მთები არ გვიცავს.  
საყურადღებო არაფერი მთაში არ გველის.  
დიდ მონატრებას თუ არ ჩავთვლით ისევ ბარისას,  
როგორიცაა — გამწირველის, სევდის დამრგველის.

ნუ ეძებ მთებში ნაგსაყუდელს ღრუბელ-ნისლივით.  
ბარის ნამალი მის კუზებზე არ იშოვება.  
მთებისგან რამე სახეირო თუ გსურს, ისინი  
ისევ დაბლიდან საცქერია და თან შორიდან.

მათ იქით, მუდამ იქით ხოლმე, სანამ არიან,  
არანამდვილი, მაგრამ მაინც სინამდვილეა,  
ისეთი ტყბილი, რომ უდავოდ გასახარია,  
რომ ამ პატარა ქვეყანაში მთა არ ილევა.

მათ იქით ჩვენი დღებია, უკვე მალული,  
უკვე უჩვენოდ, ინერციით, თავისი ხარჯით,  
ჩუმები, როგორც მოგუდული ქუჩის ხმაური  
საძინებელში ფარდიანი, დაბჭული ფანჯრით.

\*\*\*  
ოთხმოცდაათიან წლებს შეტოვებული  
ბრმა თბილისივით ხარ, რომელიც გაბორია  
დამწვარმა სისხლმა და თოვლ-ჭყაპით შემურვილ  
მკვდრებს ეცეკვებოდა რომელშიც ზამთარი და  
უკვე არც სიმწყობრე და ჯერ არც დოშალი,  
უკვე არც გალობა  
და ჯერ არც ღმუილი.

ოთხმოცდაათიან წლებს შეტოვებული  
ბრმა თბილისივით ხარ, რომელიც გაბორია  
დამწვარმა სისხლმა და თოვლ-ჭყაპით შემურვილ  
მკვდრებს ეცეკვებოდა რომელშიც ზამთარი და  
სადაც უთიეს  
ერთმანეთს საშინლად ხანგრძლივი ღამენი  
დამზრალმა დღებმა  
და ყველა ზედაპირს კრიალი გაპქონდა, და ედო თუთის  
კუბოთა ნაფიქტი, და ხარბად ლოკავდნენ სიცივის კეება  
მშეერი ენები. შენ მაშინ დროების მიღმა თუ სილრმეტი  
განძივით ესვენე, რომელსაც ეძებენ და ზედვე დადიან,  
ხსნასავით ბრწყინავდ; და, როცა გახსენე,  
თუ ამოვიხვენეშე,  
ეს, დღეს იმ დროებას რომ ჰგავხარ, იმიტომ.  
ოთხმოცდაათიან

წლებს შეტოვებული ბრმა თბილისივით ხარ  
და ახლანდელობის  
კვლავ მიღმა ბინადრობ, ოღონდაც არც ხსნა და  
არც განძი არა ხარ ამჯერად, პირიქით:  
მთვარე ხარ დიღების,  
ხშირ აბლაბუდაში ბოლომდე ჩაფლული  
პატარა მანსარდა,  
ზღვის ჩრდილი ღრუბლებზე, ყრუ შუაშინეთი,  
ცის ფერი ზაფხულში საღამოს ცხრის მერე  
უშუქო ქალაქში. და შენი ფანჯრების სინათლე ისეთი  
მკრთალია, ვიფიქრებ, სანორელი გინთია ისევე.



## ლელა მგელაძე



## ერთული მინის ჩივილი

ამ უმადური კაცთა მოდგმის რჩენა-ატანა  
იმად ღირს მარტო,  
გლეხეაცი რომ ბეჭებს მფხანს გუთნით,  
თოხისპირით მეალერსება.  
დღეს ჩემი გულის მეხვამიადე  
დგას ჩემს სხეულთან სქელი ფენით  
დამორჩეული,  
ჩემს მკვდარ ქსოვილზე,  
რომელსაც ქალაქს ეძახიან.  
ყიდის ხელსახოცს, ყიდის ბანანს...  
და გროშებს ითვლის  
ტკივილმდე უკოურო ხელით.

## სურველი გავავობიდან

მიტოვებულ სახლში და-ძმანი შეიკრიბნენ.  
სოფლის ბოლოს კი  
მშიბლების საფლავს  
ლიმილად მოეფინენ ენძელები.

\*\*\*

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ,  
რა საამოა მაზუთის სუნი,  
თუ მას ხანმოკლე, ბედნიერი ბავშვობიდან  
მოაქს ნამები-მოგონებები?  
ან რაოდენ ძვირფასია  
ოფლის სუნი მამის ძველ ქუდზე,  
როცა თვითონ ქუდის პატრონი  
ლანდად შემორჩა მეხსიერებას.

## ობლის ცუხილი

ნუ მისურვებთ დღეგრძელობას!  
მინდა დედა იქამდე ვნახო,  
სანამ მასზე დიდი გავხდები,  
რომ მოფერება გაუადვილდეს.

## ობლური

ბატონებო, მკაცრო სტუმარო,  
ჩემს სასუმალთან ნუ ჩაიმუხლებ.  
ნუ შემომახვევ წითელი ჩოხის  
მხერვალე კალთებს.  
ჩემთან არავინ დაგახვედრებს  
ლენტებითა და ფოჩიანი კანფეტებით  
მოკაზულ თახეს.  
არც შიშნარევი, მთრთოლვარე ხმით მოგიოხებენ.  
წლების შემდეგაც არვინ გახსენებს მონინებით,  
„უბრძანდებოდა ბატონები“.

## ხარი (ჩემი)

რა ჯვრისნერა, როცა შენთვის  
მზე-ვარსკვლავ-მოვარეც არასოდეს  
მოუძღვნია სიყვარულით ანთებულ გულს.  
თუკი რდესმე იყო ასე,  
საგულდაგულოდ იმარხავდი ამ „დანაშაულს.“  
შენთვის მოირას სხვა ზრახვა ჰქონდა.  
მას ტრაგიოსის მუზა გახსნოდა.  
ნერდა და ნერდა, არ იშურებდა სიუჟეტებს,  
გადამწარობულს.  
ისურვა ასე: არსოდეს განგეცადა კაცის მკლავებში  
საკუთარი სქესის სისუტე  
(გამზადებდა უფლისთვის სასაბლოდ)  
და დიდხანს, მთელი სასიცოცხლო ძალის დაცლამდე,  
მსახურებოდა და-ძმის ნაშიერთ.  
ესეც დაწერა: ჯერ, მცირენლოვანს  
„ლმერთისნაცვალ“ სტალინისადმი აღგევლინა  
მამის ომიდან დაბრუნებისა  
(მაშინ პირველად ჩაგინაცრა იმედი ღმერთმა —  
ყველა სახელით);  
მერე — თბილის მნირი ლუქმა გრგებოდა;  
შენზე უმცროსი და-ძმისთვის გევლო;  
ხან შუაცეცხლზე, ხან გაზტურაზე, მოხუცს კი ფეჩზე  
სადილები გემზადებინა;  
მხოლოდ გაგეცა და არაფერი მიგელო ნაცვლად...

ნერდა მოირა: რომ უნდოვანი  
სულომობრძავი დედის თავთით

ბარიკადად აღმართულიყავ,  
გენვნია მარცხი.

მალე ისევ შებრძოლებოდი უძლეველ მტერს  
დის სასოფლაოთან.  
სიბერის წლებში კვლავ მოგიხდა  
(ისევ მარცხისთვის განწირული)  
ბრძოლის ტაქტიკის გახსენება,  
ამჯერად ძმისთვის.

უმთავრეს დერძად რაც გასდევდა ამ ნანარმოებს  
და უდიდესი ასოებით იყო — შენს კალთას მიჯაჭვული  
ორი ობოლი,

რადგან დეიდას გიდიოდა დედის სურნელი.

თუმცა სიცოცხლემ ჩაგაგდო არად,  
ბედნიერების მიღმა გატარა,  
გულმოწყალებად გექცა სიკვდილი —  
ვნების კვირაში გამოგეცხადა...  
თუმც შენს უბეში გამონაზამთრი  
მოთქმით და ზარით არ მიგიძოდა  
და ხმამაბალი დანატირებით  
არ შეუძრია საფლავთა ქვანი,  
სიკვდილის მერე გინოდა დედა  
და ცრემლიანი გიძლვნა სტრიონი.

იმ გზაზეც ტანჯვით აღბეჭდილიყო  
უძრავი სახე.  
უქმად დაკრებილს გულზე დამჭკრარ ხელს  
ამერიბდნენ ჯვარით.  
„აფეთქებული და მოცაცახე  
ინვოდა ნათელ  
ალთა კრებული“ პატარძლის თავთით.

# ზაზა ბიბილაშვილი პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

ამ სათაურით გამომცემლობა „საუნჯერ“ ახლახან ზაზა ბიბილაშვილის 2000-2015 წლის ჩანაწერები წიგნად დასტამბა. ამჯერად ამავე ავტორის ახალ, 2016 წლის ჩანაწერებს გთავაზობთ.

2016

\*  
მგონი, ადრეც ჩავინიშნე რაღაც ასე-  
თი:

სიდიადეს ან თუნდაც დადებითობას  
თავისთავად სულაც არ ნიშნავს  
დროისთვის გასწრება — ნინასარ გან-  
საზღვრა, ხალ რა იქნება მომგებიანი და  
წარმატების მომტანი, და ამ განსაზღვრუ-  
ლი ნიშნულისკენ სწრაფვა; ვთქვათ, თუნ-  
დაც, იმის გამოცნობა, საით მიექნება  
პოეზია და ამ გავანებული ტალღებიდან  
ერთ-ერთის ქერიზე მოქცევა.

ჯვარი გვწერია, მაგრამ წარმოიდგინე  
რუსეთ-საქართველოს კიდევ ერთი ომი,  
აშკარა, და მხარდაჭმულების გარეშე. ახლა  
წარმოიდგინე ქართველი, რომელიც რუსე-  
თის მხარეს იწყებს ბრძოლას, რაკი ამ ომის  
შედეგი გამოუცვნია. დიადია ის თუ დადებ-  
ით?

მომავალი ყოველთვის არ ნიშნავს  
უკეთესს. დროისთვის გასწრება ხანდახან  
ზემედროვეობაა და მეტი არაფერი.

\*  
ლიტერატურისთვის მიშნენელოვანია,  
კარგი, ღირებული და საინტერესო ნაწარ-  
მოები იყოს და არა მისი ავტორი.

მესმის, რომ ეს განსაკუთრებით  
ძნელება მას შემდეგ, რაც ავტორი რამდენიმე  
ასეთ ნაწარმოებს დანერს და პოპულარული გახდება. მაგრამ სწორი არ  
მგონია განწყობა — უიმე, ნახე ის ტიპი!  
და მისგან სიბრძნების ცვენის მოლოდი-  
ნი. სწორია განწყობა — უიმე, ნახე ის ტიპი,  
რომელმაც ესა და ეს დაწერა!

კარგი იქნება, ავტორსაც თუ ეხსომება  
ეს. ავტორისთვისაც კარგი იქნება.

\*  
კრიტიკოსი რომ ამბობს ავტორზე —  
დრო მიუჩენს თავისი ადგილს... კრიტიკო-  
სები იმისთვის ხართ, „დრომდე“ „მიუჩინოთ  
თავისი ადგილი... ან რა ვიცი — იქნებ მარ-  
თლაც იმისთვის, დრომ რომ მაინც მიუჩი-  
ნოს...

\*  
მწერალმა უარი არ უნდა თქვას იმ იშ-  
ვათ ფუფუნებაზე, რასაც ლიტერატურა  
იძლევა: სიმართლის თქმის, გულწრფელო-  
ბის საშუალებაზე, ასპარეზზე.

\*  
რა არის იმ ჩანაწერების მთავარი მი-  
ნუსი, რომლებიც კონკრეტულ ადამიანებს  
ეხება? ის, რომ მათ ავტორს ყოველთვის  
აქვთ საშუალება, არ იყოს ობიექტური; და  
კიდევ ის, რომ ეს ავტორი თითქმის  
ყოველთვის იყენებს ამ საშუალებას.

\*  
არის ჩანაწერები, რომლებიც ინერება  
შინაგანი დევიზით — „ჩემიაზრით, ეს საინ-  
ტერესოა“, და არის ჩანაწერები, დაწერილი

დევიზით — „ეს საინტერესოა იმიტომ, რომ  
მე ვწერ“.

\*  
ლექსებზე, თუნდაც ჩანაწერებზე თარ-  
ილების მინერა — გაუცნობიერებელი გუ-  
ლუბრული რწმენა, რომ თითოეულ  
დღეს მნიშვნელობა აქვს, რომ ასე გაგრ-  
ძლდება დაუსრულებლად...

ორმოცდათოიდე წლის მერე მაინც  
რა მნიშვნელობა ექნება, ეს რაღაც 25  
წლიწვში დაწერე თუ 12-ში?

\*  
განუვითარებელი მოვლენები იქით  
იყოს და, ათასში ერთხელ განვითარებუ-  
ლი მოვლენებიც მარნუნებს, რომ დღეს  
ჯანსაღი ლიტერატურული გარემოს  
მოთხოვნილება უიმედო განცდაა. ხოლო  
ამ ვითარებაში ვიმებს დადანაშაულება,  
სხევებისგან ასეთი გარემოს შექმნის მოთხ-  
ოვნა არასწორიც კი — მაშინ, როცა შენ  
თვითონ თითასც კი არ ანძრევ (სხვადასხ-  
ვა მიზეზის გამო) ამისთვის. და ასე თუ  
მოიქცევი — ვინმეს დაადანაშაულებ და  
სხვისგან მოითხოვ — იმ „ომის პარ-  
ტიკელებს“ დაემსგავსები, თავიანთვის  
ბუნერები რომ გაუმზადებიათ, ოჯახები  
კი უკვე გაუსიზნავთ საიმედო საზღვარგ-  
არეთ...

\*  
ცოტა ვწეროთ — ნაკლები შეგვეშლე-  
ბა.

\*  
ცოტი რომ გეტყვის — მაგარი პოეტი  
ხარ, ძალიან მაგარი პოეტი ხარ, აი, ძა-  
ლიანიან მაგარი პოეტი ხარ... და მერე  
ყველა „პოეტურ რიგი“ შენზე გაცილებით  
წინ დგება, რა გამოდის — რომ თვითონ  
ძაააააააააააააალიან მაგარი პოეტია?

\*  
ცოტა ვწეროთ — ნაკლები შეგვეშლე-  
ბა.

\*  
პოეტი რომ გეტყვის — მაგარი პოეტი  
ხარ, ძალიან მაგარი პოეტი ხარ, აი, ძა-  
ლიანიან მაგარი პოეტი ხარ... და მერე  
ყველა „პოეტურ რიგი“ შენზე გაცილებით  
წინ დგება, რა გამოდის — რომ თვითონ  
ძაააააააააააააალიან მაგარი პოეტია?

\*  
აფორისტული სივრცე, სიბრძნის დარ-  
გი თავისი თავშევე გულისხმობს დემოკრა-  
ტიას. არადა, ხშირად ზუსტად საპირ-  
ისპირო ხასათის რამედ მიიჩნევთ. ჰერ-  
ნიათ (რა თქმა უნდა, ზედამიზნულად, არა  
ჩანვდომით და, მით უმეტეს, გაზიარებით),  
რომ აფორიზმის ტონი იმპერატიული და  
კატეგორიულია. მაშინ, როცა ამ სამყარო-  
ში არა მხოლოდ ერთმანეთს აცდენილი  
აფორიზმები, კონტრაფორიზმებიც კი (სა-  
ვარაუდოდ, მრავლად) მოიძებნება.

\*  
აფორიზმი ხშირად კონკრეტულ რა-  
კურსს, პოზიციას გამოხატავს და არა —  
ჭეშმარიტებას.

\*  
არიან ადამიანები, რომლებიც კითხვას  
მხოლოდ იმისთვის სვამენ, რომ ან სა-



სურველი პასუხი მიღლონ, ან არასასურვე-  
ლი პასუხის შემთხვევაში გაცეცელდნენ.

\*  
27 იანვარი — გილოცავთ ყველა ნინოს  
და გისამძმებობა ყველა არმაზს, გაცასა და  
გაიმს!

\*  
ფობოფობია.

\*  
ეჭ, შარშან უფრო კარგი გაზაფხული  
მქონდა. წელს საგაზაფხულო ტანსაცმელ-  
ში ერთი თეთრიც ვერ ვიპოვე.

\*  
მაინც სულ მგონია, რომ უფრო ზღვა-  
ში და მთაზე მივდივართ ხოლმე, ვიდრე  
ზღვაზე და მთაში (სეზონური ლინგვისტი-  
კა — ტომი რომელიდაც).

\*  
ოლიმპიადაზე დამარცხებული  
ქართველო სპორტსმენები, თავს ნუ  
ჩაღუნავთ და ნუ იფიქრებთ, რომ ყვე-  
ლაფერი დამთვავრდა. აი, გავა რამდენიმე  
ნელიდანხავთ, პარლამენტის დეპუტატე-  
ბი თუ არ გახდეთ!

\*  
მე მგონი, ქართული საფეხბურთო  
კლუბის იმისთვის არსებობენ, რომ ვიღა-  
ცას მაინც მოვუგოთ.

\*  
ვერ დამაჩიქებთ — ესპანეთთან  
თამაშაც ვუყურებ!!!

\*  
მოელედ, გადანანილდა:  
„დინამოს“ მესი დაამახსოვრდება,  
„ლოკომოტივს“ — მესა.

\*  
სიზმრის ახსნას რა უნდა. შენ ცხადის  
ახსნა თქვი.

\*  
დიდი აფეთქების თეორია საინტერესო  
რამა. ოლონდ ერთი ნაცნობი მახასიათე-  
ბელი აქვს — თუ გინდა, რომ დაიჯერო,  
კერ უნდა ინამო.

\*  
სილამაზე საშიში იარაღია. შესაბამის-  
ად, ფრთხილად უნდა მოეპირო — შეიძლება,

\*  
მშვენიერო, ნუ ხარ ასე ფუტურო.

\*  
მამრმა თავისი საქმე გააკეთა. მამრი  
უნდა ნავიდეს.

\*  
გააზიარე თვალი და დაგინახავენო  
(შუმერული სხარტი გამონათქვამი. ძველი  
დრო. შუმერები).

\*  
დოლარი გაძვირდეს და ყველაფერი  
გაძვირდეს, დოლარი გაიაფდეს და მარ-  
ტო დოლარი გაიაფდესო — უთქვამთ  
ჩენს ახლებს.

\*  
ტყუილად მოითხოვ, რომ ეგრეთ წოდე-  
ბული საზოგადოება შენთან ერთად  
გაიზარდოს.

\*  
შენ გემატება ასაკი და გამოცდილება,  
„საზოგადოებას“ კი არა.





ლაფერი წააგო, სახლიდა შერჩა.

— და არათერს არ ეუბნებით?

— რავი, შვილო, — ღრმად ამოისუნთქა  
მერაპმა, — თავიდან ვაპირებდი, მარა  
მერე გადამიარა. სახლში ეგ ჩემთან ვეღ-  
არ შემოვა, თვითონაც იცის და ხალხში  
კიდე არაფერს ვეყუბნები. ისედაც გაუბე-  
ღურებულია.

— ანუ არ განირეთ ბოლომდე, ა  
მოიშორეთ!

— როგორაა იცი, ქვილო, — შითხრა  
მერაბმა, — ძმაკაცი, თანაც ბალლობის,  
სხვაა, თოთქოს ხო შორდები და მიდიხარ,  
და სინამდვილეში კიდე ვერსადაც ვერ მი-  
დიხარ!

ცოტა ხნით გარეთ გაძოვედი და  
სოფელს გადავხედე, ცა მოწმენდილიყო,  
მსუბუქი ნიავი ოდნავ აშრიალებდა დაღ-  
მართში ნასულ გრუზად შეფოთლილ ხე-  
ებს, რომელთა მიღმაც ქვის ძგიდებად  
გამოიდიოდა სახლების კედლები და საკვა-  
მურები. ეზოს შუაგულიდან დამის ცას  
რაღაც უცნაური, გამხმარი, შიშველი ხე  
აკრონდა, ცაზე სავსე მოვარე ეკიდა. ხეს  
მახინჯად დაეკლავნა თავისი წვრილი,  
ნაწვეტებული შავი ტოტები და მათ შორის  
მოქეცია მოთარის თეთრი დისკი.

უცეპ ნარმოვიდგინე, რომ ის ვარ, გამოვიქეცი იმ ქალაქიდან, რომლიდანაც გასაჟცევი არ არის, რომელშიც დავიბადე, გავიზიარდე და, მართალია, ტყუილებით და ნიღბებით, აქამდე მაინც თავმომწონევდ დამქონდა საკუთარი თავი. გამოვექეცი იმ ხალხს, რომელიც მეხვიდა გარს და ახლა ვზივარ თუნდაც დიდი, მდიდარი, მაგრამ ჩეთვის უცხო ქალაქის ძველი სოფლის სახლის ღუმლით გამთბარ ოთახში, მარტო ვიყურები ფანჯარაში და ვფიქრობ, ვიხსენებ... ბაგრძობას, უბანს, სკოლას, საკუთარ ქორწილს, შვილის დაბადებას, პირველ რიგში კი საკუთარ თავს, ამაყად რომ მიმესვლებოდა ყველგან. მერე ვიხსენებ ბაბუას, ბებიას, ძმაკაცებს, გოგოებს, რომლებსაც მოვნონებივარ და რომლებიც მომწონებია — ეს კარგი, ფერადი მოგონებებია და მაგრად მსიამოვნებს, მაგრამ ამ ბავშვობის წიგნის თბილ ნახატებში სწრაფ-სწრაფად, ელვასავით მკაფიოდ და ეკლიანდ გაკროთება ხოლმე უსამიმოვნო დანასავით ბასრი და ცივი სურათები, ჯერ მხოლოდ ალაგ-ალაგ, მერე უფრო სწრაფ-სწრაფად, მერე კი სითბო და სიამოვნება ქრება და უცეპ, ღუმლით გამთბარი ოთახის ფანჯრის რაფის ნაცვლად, რომლიდანაც კრამიტიანი ეზო და სველი დაბზარული ქვევრი უნდა მოჩანდეს, წინ შავად ინელება ლამპიონებით განათებული გრძელი და ვინწრო ქუჩა, რომელზეც ვდგავარ ნახევრად არეული და ნახევრად ფხიზელი. ირგვლივ ასე კარგად ნაცნობი მძორის მშჭამელები მახვევია და მათი მლიქვნელური, საზიზღარი ლიმილით გარშემორტყმული (ლიმილით, ხვალ რომ აუცილებლად გაქრება) ვაფრიალებ ხელში ფულის დასტას და, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ჩემი ბაგრძობის ძმაკაცები, რომლებსაც ბევრი რამე უპატივებიათ ჩემთვის, ბევრ რამეზე დაუხუჭავთ თვალი, ისევე, როგორც მე მიპატივებია და დამისუჭავს მთა შეცდომებზე, ამას არ მაპატივებენ, ხმამაღლა ამაყად ვყვირი:

— გადასძლელის დედას ძევეცი! — და  
აქეთ-იქით ვყრი ფულს.

კისერ იქ თაღაცა თაცოცდება, თაღაცა სველი, ცივი და ამაზრზენი, ბევრი, პატარა და სწრაფად მოძრავი ფეხით. თავს ვაქნევ, ტანში მაჟრულებს და ქუჩა ქრება, მე ისევ სოფლის ძველი სახლის ფანჯარასთან ვზივა ღუმლით გამთბაროთაში, მძორისმჭამელები აღარსად ჩანან, მარტო საკუთარი ხმა ჩამესმის, რომლისაც არ მჯერა. არა, ეგ ამბავი არ მომხდარა, უბრალოდ, მელანდება, ეგ მე არ ვყოფილვარ, მე არ მომსვლია. ბოლოსდაბოლოს, სიყვარული თუ არა, ტვინი ხომ მაინც მეყოფოდა, რომ მივმხდარიყა და უარი მეტვა, მომეთოკა საკუთარი თავი. პოდა, ეგრეც იყო, არ მომსვლია. მერე კი უცებ, ფანჯრის რაფის კუთხეში მიდგმული ყვავილი მხვდება თვალში, თითებითავისით შედება შუბლზე, თავს დაბლა ვხრი, ლოყით ვებჯინები ხელის გულს და წიმთვას ამბობ:

— ගේ රෝගීන් මායාපුදු?

მეორე წამს კი ისევ არ მჯერა, რომ გა-  
ვაკეთე. ვცდილობ, ის ძველი, ფერადი კარ-  
გი სურათები დავპარუნო, მაგრამ აღარ  
გამომდის და აი, ჩეგინა ეზოს ბეჭელ სადარ-

да ზოში ვდეგავარ ბიჭების პირსპირ და  
ვევდები, ყველაფერი მორჩია, არა იმიტომ,  
რომ ლევანა მიტევს — ერთი მაგის დედაც  
მოვტყან! მთელი ბავშვობა შურდა ჩემი  
უდარდელი ცხოვრების, შეძლებული  
ოჯახის, თბილის მოდებული საძმაკაცო-  
სი, არა, ყველაფერი იმიტომ დამთავრდა,  
რომ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი  
ძმაკაცი, ბიჭი, რომელიც გამორჩეულად  
მიყვარდა, თავისი კეთილი გულის, უთქმე-  
ლი ხასიათის გამო წინ მიდგას, რაღაცებს  
მეკითხება და მის ხმაში არ არის ბოლმა,  
ბრაზი, ზიზღი — არა, იქ რაღაცა სხვაა,  
რაღაცა უცხო, გაკვირვებული, დაბნეული,  
ნაწყენი; რაღაცა, რაც კი არ გადანა-  
შაულებს ან განვება, უბრალიდ, მართოა  
აინტერესებს და ჯერ კიდევ არ სჯერა;  
რაღაცა, რომელშიც ძალიან სუსტად, მა-  
გრამ მაინც იგრძნობა ძმაკაცური სიყ-  
ვარული, რომელიც პასუხს კი არ ითხოვს,  
არამედ ელოდება, იმედი აქვს, რომ ახლა  
ისეთ რამეს მოისმენს, რაც უფლებას მის-  
ცემს, ძველებურად გააგრძელოს ყვე-  
ლაფერი, ან თუნდაც თვალი დახუჭოს, მე  
კი ვდგავარ და პასუხი არ მაქვს.

მერე ჩემს ირგვლივ სუჩუმება, ამ სიჩუმე-  
ში არავინ მესალმება, ბავშვობის ძმაკაცე-

ბი კეთროვანიყით მივლიან გვერდს. ბოლო შემორჩენილი ძმაკაცისგან ვიგებ იმ ჩემი უსაყვარლესი ძმაკაცის სიტყვებს: „შენთან სახლში ვერ მოვალ, იმიტომ, რომ შეიძლება ვნახო და მაგრად გამიჭირდება, არ ვიცი, რა უნდა ვუთხორა!“ წიბოზერები! ჩამოიფარეს მართალი ხალხის ნილბები და სახალხოდ უბინის წინაშე გამასამართლეს, ისე, თითქოს თვითონ ფრთიანი ანგელოზები იყენებ: რა, მევალე რო გადავაგდე და იმ მევალემ რო ჩემი ეს ვითომ წმინდანი ძმაკები შეანუხა, იმათ არ მისცეს ჩემი ცოლის მობილურის წომერი, ჩვენ შეგვეშვიო? ერთხელ მაინც ამოვიდე ხმა? ერთი საყვედური ან მწარე ხუმრობა მაინც გამეპარა? არა. მაგრამ, როგორც კა მე შემეშალა, ეგრევე გამნირეს, ძალლებივით მეცნენ აქეთ-იქდან და სახლიდან გამოცვენილი მშობლები რომ არა, იქვე გამგლიჯავდნენ ალბათ. და რის გამო? იმის გამო, რაც... ისე, ეგ მართლა როგორ გავაკეთე?!

ძმაკაციც მყიდის, თან როდის? მაშინ, როდესაც მომერჩენება, რომ ყინულმა ლღვობა დაიწყო, როდესაც ის ჩემი ძმაკაცი ძველურად, უდარდელად გამეხუმრება და მე ხუმრობის კი არა, სიხარულის გამო გადავჭირდები და ნელ-ნელა დავიწყებ მოქმედებას, ოღონდ ფრთხილად: შევრცდები სადმე, ისეთ საერთო ნაცნობებთან ან ძმაკაცებთან, რომლებმაც ჩვენი „ის ამბავი“ არ იციან, უდარდელად გადაგვევხ ხელს და იმ სხვების გასაგონად ღიმილით ვეტყვია: „შე გორსალა, შენა!“ ის არაფერს მიპასუხებს, უბრალოდ, გაიღიმებს და შემდეგ ეგეთ შეხვედრაზე ისევ შევაპარებ, ოღონდ ოდნავ უფრო თამამად, თბილად, ლამის მოფერებით: „ეე, სიქიმ!“ და ასე ნელ-ნელა ვუახლოვდები, იქამდე, სანამ ჩვენი ძმაკაცის ბავშვის დაბადების დღეზე მოვხვდებით ერთად, ცოტა რომ მომეკიდება, ფეხზე წამოვდგები და მოული სუფრის წინაშე დავლევ მისი თამადობით ნაღდი ძმაკაცობის სადლეგრძელოს; ის ოდნავ წანონითლება, ფეხზე წამოუდგომლად, ჩუმად გამოცლის ჭიქას და ვიღაც უცხო გოგოს დაუწყებს ლაპარაკს. მე კიდევ ვიდგები ფეხზე, ჩემს ხელში ჩაბლუჯულ ცარიელ ჭიქაზე უფრო ცარიელი, ამ ჩემს ბავშვობის ძმაკაცს მიშტერებული, საცოდავი, შემტენი, მარტოსული. და, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი ძმაკაცი არც ისე უჭქურო და მთელი ეს ხანი ალბათ სიყვარულის გამო მიშვებდა წაბიჯვაბიჯვას, ბოლომდე მაინც არ მენდო

ბა და ახლაც კი ჰეგონია, მასთან ურთიერთობის აღდგენას იმიტომ ვცდილობ, რომ ვიცი, ეს ის გასაღებია, რომელიც ბავშვობის საძმაკაცოზე დაკიდებულ ბოქლომს გააღებს და ვერ ხვდება, რომ უკვე დიდი ხანია, ალბათ ბავშვობის შემდეგ და კიდევ რაღაც-რაღაც პატარა მომენტების გარდა, არ ვყოფილვარ ეგეთი სუფთა, როგორც ახლა, რომ რასაც ვამბობდი, იმსა ვჟიერობდი და სხვა არაფერს, რომ მიყვარდა და მიყვარს. თა რომ მაგრად

ეს ფიქრი მთელი კვირა გამყენება, მერე დავთვრცები, ფსიქოტროპულ წამლებს მკიდარა ბავშვობის სამარაცხო მთელი თავისი ტებილ მოგონებებით და მარტო მისი დაბრუნება მინდა.

მივაყოლებ, ამომასხამს და ვეღარ გავუძლებ, იმ ერთადერთი შემორჩენილი ძმაკაცის ცოლს დავურეკავ, ბოლიშს მოვუხდი, დავემზევილობები და მამაჩრიმის საფლავზე ავალ მარტო ზამთრის ცივ დამეძი, მოვადაყურებდა და იცინოდა, მაგრამ პახმელიისა არაფერი მეცხო. პირიჭით, კარგად ვიყავი, მხნედ. ზურამ მითხრა, მერაბი ზემოთ, ნაკვეთზე ავიყვანოთ, მთხოვაო.

და ეს კიდევ გული, რომ უნდა ხავიღდ, და ბი... წევი სოფელი გამახსენდა, მწვანე მდი-

გავიარა ახალ უთოიერობებს, გავიცნო ახალ ხალხს, გავიჩენ ახალ მეცნობრებს და ცოტა ხნით თითქოს დავივინებ კიდეც ყველაზე. იძამთა სანამ უიმის უსამ- ნარის თეთრქვანი ნაპირი, გრძელი, დაბუ- რული ეზო, მაყვლის ბარდებში ჩაძირული ძველი სახლი. ბოლოს როდის ვიყავი იქ? წინა ნომის ინტერესი.

კი პირის პირ ვისხდებით აქ, ამ თითოეულ დღაზე მს ათასში და ძველებურად, უდარდელად ვილაპარაკებთ, როგორც მაშინ, პატვობაში. ეგ უცნაური ლაპარაკი იქნება, რომლის განავლობაში ათასი რამე გამახსენდება, რაშიც გვერდში ამომიდგა და რაშიც ხელი მკრა, ბევრჯერ შემზიზღდება და შემიყვარდება თავიდან და კიდევ უფრო ბევრჯერ შემშურდება იმ მურტალი, ყველაზე ბოლმიანი, ყველაზე მტკიცნეული და ჩემთვის აქამდე უცხო შურით, რომლითაც აკადმყოფ კაცს შურს

დღისით ვინერი და ვკითხულობდი, ღამე სახლში შევდიოდი, სადაც მოგუდულად დუდუნებდა ღუმელი, გემრიელი სითბო და დედაჩემის გაკეთებული საჭმლის კიდევ უფრო გემრიელი სუნი იდგა, და ვხვდებოდი, რომ ალარ მინდოდა თბილისში წამოსვლა, რომ ეს თბილი, უცვლელი, მოსაწყენი სიმშვიდე და სიჩუმე მერჩივნა ყველაფერს და რომ მაინც მომინევდა უკან დაბრუნება და რომ მაინც მექაჩებოდა რაღაც იმ დამთხვეულ, მყვირალა, გიუურ, მაგრამ პოლომდე ჩემს ქალაქში. და ნამთვალი

ჯანმრთელის, როდესაც პირისპირ სხედან და ჯანმრთელი ცდილობს, ითამაშოს, რომ ესმის მისი და ჰერონია, რომ გამოსდის, რომ თავდახრილი ჯდომა, ყრუჯ ნათქვამი პასუხები, გრძელი ჩუმი პაუზები, სერიოზული თემები ან ბავშვობის მოგონებები სწორედ ის გრიმია, რომელიც მასაც მომაკვდავად აქცევს ცოტა ხნით მაინც და ეგრე მოტყუებული, ვერაფერს მიმხვდარი უზის ავადმყოფს ნინ, ხარბად ისუნთქავს ჰაერს და მის დასანახად ასე დაუფიქრებლად, უაზროდ და ღორულად ფლანგავს იმას, რაც თითქოსდა უსასრულოა მის-თვის და ასე ძვირფასი და ცოტაა მეორისთვის. და ამას რომ ვნახავ და კიდევ ერთხელ გამახსენდება, როგორი ცოტა დრო დამრჩა, პირველად დავაპირებ, პირველად მომინდება იმის თქმა, რასაც, ვიცი, ამდენი ნელია, ელოდება, ვცდი კიდეც და...



ჩაშეთი — გუდიავილის ფრასება

მარიამო, გაბმით რეკავს  
ქრისტეშობის ზარებს გული —  
ყრმა იესო მერცხალია  
ხელში შეფრთხიალებული.

მარიამო, უნანავებ  
მოუღურტულე ცეროდენას,  
ჯერ არ იცი, რომ ჯვარცმა და  
ცრუ ამბორი ელოდება.

ჯერ არ იცი,  
კაცთა მოდგმა  
სულის მოითქვემს მისი ლოცვით,  
გაიგლის და ფეხისგულებს  
დედამიწა დაუკოცნის.

შეურულდება ნატერფალიც  
იორდანეს ნაპირებთან,  
როცა შესძრავს ქვესკნელსა და  
ზესკნელს შენი დატირება...

ჯერ კი მამა უფალი დგას  
ვარსკვლავების რიკულებთან  
და ფრესკიდან, ბედნიერი,  
დედა ლვთისა იყურება.

## განერალი

შეშას ჩეხავს გენერალი,  
კუნძა ადვილად ერევა.  
სამხრები არ ამშვერებს,  
არც მუნდირი, გენერალს.

ეჰ, ცხოვრებამ წუთისოფელს  
შხამი გამოურია,  
ნლები, როგორც ბებერ ნაგაზს  
გარს ყმულით უვლიან.

— ეჰ, გენერალ! გენერალ!  
ერს რული რომ ერევა,  
ნეტავ ვინ გაადვიძებს,  
ნეტავ რა ეშველება!

მოხდილია წმინდა ვალი —  
მტერი ვინც დაქშია,  
თადარიგის გენერალი  
საპენსიო რიგშია.

გადახედავს სევდიანი  
ჩავლილ წლების ნაწვერალს.  
ალარ აკრიობს ხელქვეითებს  
მისი წარბის აწევაც.

შინაურებს ირონია  
ხმაში გამოერევათ:  
— აბა, ჩქარა, მიართვითო,  
ფაჩუჩები გენერალ!  
— ეჰ, გენერალ! გენერალ!  
გაჯეჯილდა ცრუ გმირი.  
ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ჩრჩილებს დარჩათ მუნდირი.

როცა გააღვიძებს მკერდში  
ქარბორბალა კაეშნის,  
გენერალის ნაჯახის ხმა  
ქალაქს ძილში ჩაესმის.

## დილა ქუთაისში

სიზმრის ლაპირინთებში  
დაქანცვამდე იარე,  
ქარის ჩიტი ფარდებში  
ვიდრე შეიფრთხიალებს.

ირგვლივ ქუთაისია  
როგორც ჭრელი არშია,  
ქალი, მე რომ მოწონდი,  
სადლაც, ამ ქალაქშია.

მახსოვს ის ყვავილები,  
თავზემოთ რომ ვისროდით,  
ფუტკარი რომ უკავდა —  
ის ჰობიც — ის ტოტი.

სადაც არის, ინათებს,  
მალე, სადგურ როოთან,  
ხელში გაიმართება  
მატარებლის იოტა.

წყალზე ატივტივდება  
თეთრი ქვების ბაკანი,  
ხიდი, მე რომ მიყვარდა,  
ის ტალღებიც აქ არის.

ვიცი, ახლოს ჩიხია,  
დროა სულ სხვანაირი,

## ვანო ჩხიკვაძე



ძველი ფლირტის ვაგონი  
აქეთ ალარ ჩაივლის.  
მორჩა, ის ალუბლები  
უკვე გადაიბელნება.  
სარკიდან იღრინება  
ულმობელი სიბერე.

## პლუზი — 2003

მერვეს პარალელური  
მეშვიდე ავენიუ.  
რესტორნის მენიუ და  
მობილურის მენიუ.

აშლილ ფორტეპიანოს  
ვიდრე გადააწყობენ,  
ჯაზის შავი ბიჭები  
გიტარაზე ანცობენ.

ვიღაც ცხრა მთას იქიდან,  
ოკეანის აქეთკენ,  
რუტინული სიშვიდის  
სარკოფაგებს აფეთქებს.

ეძიებენ, ჰპოვებენ —  
ტყვია კოცნის საფეთქლებს.  
ახლებით ანაცვლებენ  
სულგაყიდულ ადეპტებს.

მერვეს პარალელური  
მეშვიდე ავენიუ —  
წაუშლიხარ ეკრანზე  
მობილურის მენიუს.

როცა ერთი ფასი აქვს  
ცოდვიანს და უცოდველს,  
გიუს გიუს რომ ვერ დაარქმევ,  
ბოზს მეძავს ვერ უწოდებ.

გული — ტირის სამიზნე  
არც მეტი ან ნაკლები,  
გა — და — ფხა — ვე — ბუ — ლია  
წერტილოვან დარტყმებით.

აბა, აქ ვინ გამიგებს,  
მე რომ ცრემლი მდენია —  
მომკლავს დარდის დავთარი,  
ჩემი ჯავრის მენიუ.

უფრო გასავალი აქვს  
ტაიტურს და კენიურს,  
ვიდრე ოცდაცამეტი  
ასოს ღვთიურ მენიუს.

მოფერებით ხელი ჯერ  
არვის გადაუსვია.  
გარეთ — ფოთოლცვენაა,  
შიგნით მძიმე „ბლუზია“.

მერვეს პარალელური  
მეშვიდე ავენიუ...

\*  
მეექვსე სართული. მეშვიდე პალატა.  
ვდგავარ მომლოდინე და ღამენათევი.  
ოთახში ივნისის მზემ შემოანათა —  
მობრძანდა მეუფე პურით და სანთლებით.

თვალები კამკამა — ლურჯი ცის წვეთები,  
ნაკურთხი წყალია —  
მეცემა. ვსველდები.

ვემთხვიე მხარზე და ნათლით შეიმოსა  
გამთენის მთების მწვანე ხავერდები.  
მოისმა ლუდუნი — დამლოცა, ილოცა,  
რაფაზე დატრინდნენ სამოთხის მტრედები.

საოპერაციო. ქირურგის დანაზე  
ყოფნა და არყოფნა გვერდიგვერდ მიდიან.  
დამძიმდა ქუთუთო.  
ფერები განაზღნენ.  
უკან წარსულია.

წინ ბეწვის ხიდია.

ვიხილე იქ იდგა — ჩემს გადასარჩენად,  
შეტყუპდნენ თითები,  
შემართა მარჯვენა...

მეექვსე სართული. მეშვიდე პალატა.  
გადალლილ ცხოვრების ქარით და ავდრებით,  
აქადე მეუფის ლოცვა მიფარავდა —  
პური და სანთლები.  
პური და სანთლები.

## ორი პრიმიტივი

1.  
ყვავილები მიდიან.  
შემოდგომა მოდის.  
ვიღაც წუმად კითხულობს —  
როდის? როდის? როდის?

მოვა ქრიტეშობისთვე —  
ქედებს გადაათოვს.  
ვიღაც ისევ იკითხავს —  
რატომ? რატომ? რატომ?

კართან ქარის ქორალი  
ძველი ლოთი-შფოთი.  
ყვავილები მიდიან.  
შემოდგომა მოდის.

სარკმელზე გაცრეცილი,  
ბებერი ხის ფოტო —  
ჩიტი ებასება  
უკანასკნელ ფოთოლს.

2.  
ამღვრეული ნისლი  
ძველ ჭრილობებს მიხსნის.

არხევს ტოტებს ქარი —  
წვეთავს ნეკერჩალი.

წაუშლიათ ნისლებს  
ის ფერები,  
იმ ხმებს  
(სულ ამაოდ მიხმე),  
უკავე ვეღარ ვისმენ.

მოსდევს ფოთლებს ქარი —  
წვეთავს ნეკერჩალი.

\*

გინდა ქალაქი რომ გააოცო,

სახურავიდან ლრუბელს აკოცო.

ანდა აუშვა სული დევნილი —  
სადაც ზაფხულის ხვატი ბალახობს  
კლდის გოდოლიდან გადმოფრენილმა  
ქვაფენილს შუბლი რომ დაანაყო.

გინდა აჩქარდეს დროის ალეგრო,  
მომხდურთა ჯოგი რომ გადარეკო.

თავისუფლების გახდე ფარი და  
მოახტე ზურგზე თეთრონს — ბარიკადს.

ისე აყვავდეს შუბლზე მიხაკი,  
ბოლომდე ვერ თქვა, როგორ გიყვარდი.

გინდა ერთხელაც ვერ მოითმინო,  
რასაც მორჩილად ითმენ აქმდე,  
კვლავ შეფრთხიალდეს უდალი მიმინო,  
დიდი ღალატის წლები დაქანდნენ.

აღმოხდეს, მორჩა, ის აღარა ხარ,  
დუშმანის მოდგმა ვინც აპალახა.

გინდა განაგდო ეშმას ნასხლეტი,  
ციხეს ურდული გადაუყარო,  
რომ თქვა —  
ტოტივით მელავებს გასხეპილს,  
ვიდრე დაკრევ:  
— გმადლობ, უფალო!

გინდა...

\*  
მითხარ რა ხდება —  
მოდგა აფთარი —  
თოვლი იმედებს მართმევს.  
ფერფლი ნამქერის ვიდრე დამფარავს  
უნდა უგონოდ დავთვრე.

მივეხეტები,  
ტყვიადახლილი,  
ვუსმენ დამბანგველ ბოდვებს.  
თეთრი აფთარი, მეერდზე დალვრილი,  
ძახველის სისხლზე მომდევს.

შენმა ახილმა თუ არ დარეკა,  
ვეღარ გავატან ამ თვეს.  
როგორ შემეძლო შენც რომ დამეტმე,  
ისედაც ბევრი დავთმე.

გაცივდა სული —  
ვიღაც აქეზებს  
სისხლმოწყურებულ აფთრებს.  
ზამთარო, ჩემი ნაზო დობილო,  
გადამეფარე, გავთბე!

\*  
ზის ფანჯარასთან საქსოვით ქერივი,  
მოჰქრის ისარი წეროთა მწკრივის.

აულერბს ქარი მავთულის სიმებს,  
მალე მოვისმენთ ნოქტიურნს წვიმის.

ეალერსება, ვიდრე ავუშევ,  
ჩიტი ალუბლის წითელ საყურეს.

მოგონებების ფარდა დავუშვი  
და ხსოვნის ღია კარი დავხურე.

ზის მონენილი მწუხარე ქერივი,  
შავი ვუალით — ჩრდილი აიგის.  
და ისარივით წეროთა მწკრივი,  
მგონია ქერივის გულში გაივლის.

\*  
ვიხსენებ ბალახს,  
ვიხსენებ წვიმას,  
სველი თხმელების კორომს.  
ვიხსენებ, თუ რამ  
მტახჯავდა, მწყინდა —  
შენ ვერ გიხსენებ მხოლოდ.

ჩამოშლილია ჩანჩქერი თმების,  
ვიღაცა მოთქმით მგლოვობს.  
ლარნაში ვარდის ფურცლები ჭუნება,  
შენ არა ჩანხარ მხოლოდ.

ყველა ქალი და ყველა ამბორი,  
მკერდის საყვირთა სოლო...  
გადამიყურცლა ქარმა ალბომი,  
სადაც შენ აღარ ცხოვრობ.

\*  
აწვიმს ყვარელს და ჩარგალს,  
მთლად საქართველოს აწვიმს.

ცა ელავს —  
ქართლის დედის  
ჩამოხოკილი ღანვი.

წვიმის ტანძის გაბანს,  
აწვიმს სხვიტორს და ხოვლება.  
ლრუბლებს რა უჭირთ, აბა,  
ნავლენ და ისევ მოვლენ.

აწვიმს ხანძთას და მეფის,  
სისხლის ღვარი რომ გასდის,  
საკურთხევლიდან დგება  
კუროპალატის ლანდი.

სალიახვოსკენ ხრჩოლავს  
კელავ დედაბოძის ნამწვი,  
აწვიმს ცარიელ რდას  
და მერცხლის ბუდეს აწვიმს.

დაგაცოტავეს, დაგთმეს,  
უცხო ქარები გვარცხნის,  
შემოხაზულო, ერთდროს,  
კავკასიონის ცარცით...

როდის შეიშრობ ლოყას,  
მითხარი, ლირს თუ არ ღირს,  
ვიდრე ეს წვიმა მომკლავს  
შენი დუმილით დაღლილს.

### ჩვილი

როდესაც თავის დაბადება ტირილით გვამცნო,  
გვავიფიქრე:  
ნუთუ ამასაც, როცა მოიზრდება,  
თოფს მისცემენ და სამშობლოს სახელით  
საბრძოლველად წინ გაიგდებენ.  
ამ საბარალი უმწერის,  
ჩერებში გამოკრულ თბილ-თბილ გუნდას,  
პირველად რომ მიძებნა სარძევე დვრილი  
და ძუძუსთავმაც პირველად იგრძნო ჩვილის ტუჩები —  
ახალგაშლილი, ალისფერი ვარდის კოკორი.  
ნუთუ ამასაც, დედისა და მამის ნაშიერს,  
უპატრიონოთა სახლში გაზრდილი, ენაბლუ კაპრალი  
დღეშიც ცხრაჯერ უხსენებს დედას.  
დღეს სიხარულით სავსე ქალბატონს,  
ენამოჩილექით რომ აქეზებს —  
მიდი, ბატარავ, ტევილს დავითმენ,  
ოღონდ ყოჩალად გამოქაჩე —  
რძე რომ დანწეს და დაიწმინდოს,  
ხსენი უნდა გამოადინო!..

ნუთუ ოდესმე,  
ტყვია თუ არ მიეკარა,  
უცხო ქვეყნების დიუნებით გაბეზრებული,  
და სიცოცხლეზე გულაყრილი,  
ბომბით ჩომოცეულ წივის ალიზის  
დანახშირებულ სახლის თავეზე,  
მსვილაბზინდიან ქამარს ჩამოაბამს  
და უყოყმანოდ თავს გაუყრის...

ნუთუ ყველაფერს დაავიწყებენ,  
ნუთუ ალარაფერი ეხსოვება,  
რაც გაყინულ გრძნობებს გაუთბობა...

თუკი ბოლო ეს უნდა ყოფილიყო,  
ხომ არ სჯობდა, რომ საშომივე  
გამოენასკვა ჭიდლარის ყულფი!..

როდესაც თავის დაბადება ტირილით გვამცნო,  
შავბნელ ფიქრს ხელი ავუკარი —

ჩემს უნებურად ყვავივით რომ დაიყრანტალა —  
ამ შეგეშინდეს, გამოქაჩე, მიდი, პატარავ!

### სპექტაკლის შემდეგ

საკვირველია, არ შემითხზავს დღემდე სონეტი,  
ჯვარედინ რითმებს მივუძღვენი მთელი სიცოცხლე.  
ჯვარედინ ცეცხლში მეტაფორის ვინც დახოცნენ,  
აღწუზე დასვეს ელვარება ოქროს მონეტის.


ჩემი ჯერია —  
დირიუროს ჯოხი მანიშნებს —  
მესსა იმათვის, ვინც საწუთოს ჯამი დაცალა.  
მევილონებს შეფრენია ჩიტი ნაცარა —  
ბაფთა ყელზე და პანისტი კენკავს კლავიშებს.

ოცდამეერთ საუკუნის განნირულ ტროას,  
იცი „დანაელო საჩუქარი“ ვინც დაუტოვა.  
არ დაუჯერეს მანანნალა ტრუბალურს, პოეტი:  
„ფართხილად ქალაქი,  
გააღვიძო,  
ო, დროა, დროა“.

ეშვება ფარდა. როცა ტირი, სხვები მღერიან,  
თითო ფურცელი ვინც შემატა ცოდვების დავთარს.  
რა შეგრჩა ბოლოს, სიყრმიდანვე მდევნელო ქართა,  
მტრებს გაუძელ და, ცრუ მეგობრებს ვერ მოერიე.

ზოგს ყულფი ერგო, ზოგს გვირგვინი, ზოგიც შერისხეს,  
მორჩა სპექტაკლი — რამპის შუქი აღარ იელვებს —  
ხარივით ბადავის დაცლილ სცენის სიცარიელე  
და მიხვეტავენ დამჭერან ნიღბებს კულისებიდან.

### დავით რობაქიძე



### სხვა რიცხვისი

სუ, ოიდიპოს,  
სუ, არ გინდა...  
დედაქალაქში ცხოვრებაზე  
არ ღირს ამდენი,  
დედანიაშიც ეგრე ცხოვრობ,  
დედაბოძიდან ვერ მოგწყვიტე  
და მინდანაც სად გადაგდენი.

სუ, ოიდიპოს,  
შენი ბრალი არაფერია.  
ხორციელ ტკბობას რომ ჰქონდა  
კიდევ ადგილი,  
სატირალი მაშინ გენახა.

არ მინდა, ცრემლი შეგამჩნიონ ამ ჭორიკანა ქალაქებმა,  
ამ წუთისოფლელ დედაკუცებს თუ ჩაუვარდი,  
ყველა კალთა თავისიდ ჩაგთვლის,  
წყალს კი არავინ მოგაწოდებს,  
აქაც ვერ დალევ...  
სუ!

მიირთვი,  
შესვი,  
დამშვიდდი.

\* \* \*

ზემოს, ქვემოს, პირიქითას, პირაქეთს,  
მაღლას, დაბლას, წინასა და უკანას,  
შიდას, გარეს, შუაგულის ბილიკით,  
ნამოსული გლოცავ შეუზღუდვად.

შენთვის მხოლოდ შინდის ჯოხი გავთალე,  
შეგიძლია მოინიონ გარგარიც,  
ვერაფერში, ვერაფერში, გაგცვალე,  
როგორიც ხარ, შეგიყვარე ამგვარი.

1, 2, ...

შენი წყვილი, ჩემი წყვილი,  
თვალი — ცხვირით გაყოფილი,  
ერთმანეთის ვერ დამთმობი,  
მაგრამ ჩვენით კმაყოფილი.

ჯვარედინი გადაკვეთა,  
ფუძის ქვემოთ ცხვირის წვერი,  
ნახე, როგორ გადაკეთდეს  
ცოტა ხანში ყველაფერი.

### გაპირგლები

მოინაულეს დაკარგული მასწავლებელი,  
ცრუ სწავლებიბით დალლილებმა, შეაღეს მარნის  
კარი და იქვე ჯორჯოებზე ჩამოისცენებს,  
მოითქვეს სული, აიკეცეს ტოტები შარვლის.

ნახეს იორვე გასაღები: ნიჩაბი, ურო,  
მოზიდეს წყალი, მინაყრილის გადადგეს ბორცვი,  
დგანან, უჭირავთ სარქველები და ჩაჟყურებენ  
სიცარიელის ფსეურუხილავ ყელსა და მუცელს.


სადლაც აქ არის, რომელიმე ოთახში დიდში,  
თუ პატარაში, მნიშვნელობა უფრო ნაკლები  
აქვს, უფრო მეტიც შეიძლება აღმოჩნდეს რიგში,  
როცა მრავლდება დაგნესილი სიცარიელე.

ბოლოს მიაგნეს ერთ-ერთ ჭურში სუფთა ოცხანურს,  
ორმიმოსავით შეისუნთქეს ღვინის სურნელი  
მოუმარავი იყო როგორც ნაღდი მოძლვარი.  
ფერიც და გემოც შერჩენდა კულავ სა









— კი, ლექსებს ვწერ, თუმცა, ახლა ის ეტაპი მაქვს, როცა ბეჭერს ემუშაობ, მაგრამ პოეზიას ნაკლებად ვავეყენებ. იყო პერიოდები, როცა ყოველ ახალ ლექსს მაღვევი ვდებდი „ფეისბუქზე“, ვძეჭდავდი პერიოდულ გამოცემებში. ამჯერად უფრო ჩემთვის წერა მომწონს, პოეზიასთან ჩამყუდროების ეტაპი მაქვს, მიდგომები ცოტათ შემცვალა. არ ვიცი, შეიძლება უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ტექსტის მიმართ, ვიდრე ცოტა ხის წინ, ან იქნებ ისე არ მომწონს, რასაც წერ, როგორც ადრე მომწონდა, მაგრამ რაღაც ნაკლებად ასე ვარ, სხვა ტიპის ტექსტებს უფრო ვავეყენებ — ხერილებს განათლებაზე, კულტურიაზე. სხვათამორის, საბაჟვო პროზაშიც ვცადე, და მერე რაღაც ნაკლები.

— თუმცა, შარშან თქვენ გმოცეით პოეტური კრებული „ჩრდილის ამოქანა“.

— დიახ, განხვავებული კრებული იყო, როგორც თემატიკით, ისე სტილისტიკით. მგონია, რომ საინტერესო გამოივიდა.

— თქვენ პოეზიაში თითქოს მითები სუნთქვას. როცა საუბარია მითოლოგიისადმი თქვენს ინტერესზე, ყველაზე ხშირად ახსნებენ ერთ-ერთ კრებულს, სახელწოდებით „კონსპექტური მითოლოგია“, თუმცა „ახლოხედვის ტრაქტორიაში“ და სხვა კრებულებშიც მითოსის სულა ძალიან ცოცხალია. საინტერესო კი ის არის, რომ თქვენს შემოქმედებაში ის სამყარო უხსოვარი დროის ხატებად კი არ ჩანს მხოლოდ, არამედ ყოველდღიურობასაც გადმოსწვდება.

— ის მითები არის ჩემ მიერ ხელახლა გაზრდებული რადაც ტიპის არქეტიპები, გასუბიექტურებული რბიექტები. ის მითოლოგიური პერსონაჟები და მათი თავ-გადასავალი, გაგებულია, როგორც ჩემი პირადი ამბები, ასე რომ, პირად მითოლოგიას ვყვებო. მითი, თავისთვალი, როგორც ძეველი ამბავი, ჩემთვის საინტერესო არის. უფრო მნიშვნელოვანი, იმ კონკრეტული მითოლოგიების საშუალებით ჩემი ამბის მოყოლა. ამაზეა სწორედ „კონსპექტური მითოლოგიის“ ყდა — ავტორი, რომელიც მე ვარ, კენტავრია და სალექტრიზის ბერაგს, ერთგვარად, ახალ პრიზმაში ატარებს ძეველ, მარადგანმეორებად ამბებს.

— ახლა საბაჟვო პროზაზე მიამბეთ. რატომ სტექსტებია, როდისუნდა ველოდიოთ მათ გამოსვლას და რა სახელწოდებით?

— ვფიქრობ, წიგნი მაღლე გამოვა, მასზე მუშაობს გამოცემლობა „რტანუჯი“. ეს გახლავთ ზღაპრები, რომელიც ჩემი შვილის ნახატებზე დაინტერესობს ბერაგს, ერთგვარად, ახალ პრიზმაში ატარებს ძეველ, მარადგანმეორებად ამბებს.

— ახლა საბაჟვო პროზაზე მიამბეთ. რატომ სტექსტებია, როდისუნდა ველოდიოთ მათ გამოსვლას და რა სახელწოდებით?

— უფროსებისთვის ხომ არ მუშაობთ პროზაში?

— დიდი ხანია, ვმუშაობ სამეცნიერო ფანტასტიკაზე, ცოტ-ცოტას ვწერ, დიდ ტექსტებთან მუშაობა მიჭირს, მაგრამ იდეა იმდენად მომწონს და ისე მინდა ბოლომდე გავიყვანო, რომ ალბათ არ შევეცვები, სანამ არ დავასრულებ. სამეცნიერო ფანტასტიკასთან ერთად, წიგნში იქნება ცოტა პოლიტიკური სატირა, ცოტა კულინარია და, რასაცვირვებით. რომანული ამბებიც.

— რაც შეეხება სამზარეულოს ამბებს, ამ თებზე „პირადი კულინარიის“ შემდეგ, როგორც ვიცი, მეორე მეორე უკვენი მეორე კრებული გამოვიდა — „ნინასნარმეტველება მურაპიო“. დღეს კულინარიისადმი ინტერესი დიდია, მაგრამ მნიშვნელოვანი თქვენს წიგნებში ის არის, რომ მხოლოდ სამზარეულოზე და კერძებზე არ წერთ, თქვენ იკვლევთ, სიღრმეებში ჩადისართ, ლიტერატურულ ფორმას აძლევთ ამ, ერთი შეხედვით, არალიტერატურულ თემატიკას და საოცარი ძალებით აკავშირებთ ერთმანეთთან. ნუთუ შეიძლება, პოეზიასა და სამზარეულოს, ლექსებსა და კერძებს შორის ასეთი მჭიდრო კავშირები არსებობდეს?

— ნებისმიერ შემოქმედებას აქვს კავშირი მეორე ტიპის შემოქმედებასთან. ჩემთვის იმიტომც არის საინტერესო, თორებ პროფესიონალი შეფ-მზარეული არ ვარ და არც სამზარეულო ჩემი სპეციალობა, მაგრამ ინტერდინტებით თამაში და კულინარიარია არის უკლინარია არის ურთიერთობის საშუალება და დამატიანი მოწოდება — პოეზია. და როგორც პოეზია გიყვანა ძალიან ბევრს ქვეყნის ეთნოკულტურის, გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შესახებ, ასევე — კულინარია. როგორც ჩემის სამზარეულოში ჩანს კვალი, ეტერი, ყველა მომთაბარე ტომისა, რომელმაც დაგვიპყრო, ისევე ჩანს ლინგვისტიკაში და რაღაც ნაკლებად, პოეზიაშიც. ამიტომ მგონია, რომ ძალიან ბევრი რამის შენახვა და, შესაბამისად, გამხელაც შეუძლია იმ შემადგენლებს, რომლითაც ადამიანები ყოველდღიურ ტრაქტებში მიზადებენ. გარდა ამისა, ეს არის კულტურის საუკეთესო ხატი და მისი საშუალებით ბევრს გაიგებ.

— ზემოთ უკვე ვახსენეთ, თქვენს პირველ კრებულს ამ თემაზე „პირადი კულინარია“ ერქავა. საერთოდ, როგორ შოვიდა სამზარეულოზე წერის იდეა?

— ძალიან შეხმარება ის, რომ „დედლაინებისთვის“ ადვილად ვწერ. როცა რაღაცის გაკეთება მინდა, ვადგენ „დედლაინ“, მაგალითად, რომელილაც უკრალისთვის ვმუშაობ, ვიცი, რომ ყველ უნდა ჩაგაბარო ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემონიშვნის შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა. ასე მოხდა და „პირადი კულინარიას“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წიგნს, „ნინასნამეტველება მურაპიო“, — მასში შესულია თავები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწერა „კულინ-ART“-ისთვის, „მასანალებელა ჯე-სთვისი, იქ შეხვდებით ნერილებს ლიტერატურაზე, კინოზე და კულინარიაზე — ანუ ეს წიგნი, პირინციპში, მხოლოდ უკველებელი ტექსტი ამა და ამ თემაზე — ასე გროვდება მასალა.



თანამედროვე თურქი მხატვარი და პოეტი — სელჩუქ დერინზი — 1963 წლის 1 მაისს ქალაქ სამსუნში ქართველი მუჰაკირების შთამომავლების ოჯახში დაიბადა. საშუალო სკოლა მშობლიურ ქალაქში დაამთავრა, რის შემდეგაც სწავლა სტამბოლის ქულელის სამეცნიერო ლიცეუმში გაავრცელა. ლიცეუმის დამამთავრებელ კლასში საბრძოლო თვითმმდინარეობისას მიღებული ტრავმის გამო სამეცნიერო კარიერა ველარ გაავრცელა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ქალაქ იზმირის ხელოვნების სკოლაში ჩააბარა, რომლის დამთავრების შემდეგ იზმირის „ფილიპ მორისის“ ქარხნის სტამბაში დაიწყო მუშაობა, პარალელურად ადგილობრივი პრესისთვის პოლიტიკური თემატიკის კარიკატურებს ხატავდა. 1993 წლიდან ცხოვრობს სტამბოლში, აქვს საკუთარი სამხატვრო სახელოსნო. მისი ლექსები ქვეყნდება თანამედროვე ლიტერატურულ პერიოდიკაში და თარგმნილია მონალურ, ქურთულ და არაბულ ენებზე.

## სელჩუქ დერინოზი



## სტამბოლის სტატისტიკა

რამდენი კაციც ცხოვრობს ქალაქში,  
იმდენი ტანჯვა დადის ქუჩებში.  
მეც ქალაქივთ,  
თითქოს ყველას ცხოვრებით ვცხოვრობ  
და ვიტანჯები სხვების ტკივილით.  
თითქოს მთავარ მოედანივით  
ჩემს მეცრდზე იწვის,  
რამდენი ფიქრიც ცხოვრობს ქალაქში,  
რამდენი დარღიც ცხოვრობს ქალაქში,  
რამდენი სევდაც ცხოვრობს ქალაქში,  
რამდენი ტანჯვაც ცხოვრობს ქალაქში.  
ზღვიდან ვის უზმობს გემის საყირი?  
ვის ეძახიან მინარეთები?  
ვის ელოდება მშიერი კატა?  
ამდენი კაცის ცხოვრებით ვცხოვრობ,  
ამდენის დარღი მთრგუნავს და მტანჯვას  
და აღარ ვიცი ჩემი სახელი,  
და აღარ ვიცი ვინა ვარ,  
რა ვარ.

၁၃၄

ეს ჩემი პირველი ოთვლია სტამბოლში.  
მესამე დღეა ჩემი ფანჯარის წინ ლამპიონები  
თეთრი ფიფქებით იცრემლებიან.  
აღმართებში ჩაკარგულ ქუჩებს ეფინება თეთრი ზენარი  
და ნაგვის გროვებს, ნაგვის პარკებს, ნაგვის გორაკებს  
შეანით იმალავს უთეთრესი ფირუმარილი.

— დიდი თოვლია,  
გადმოვფერთხოთ სახურავიდან, —  
ისევნება მოლა იუსუფი,  
ჩემი პინის პატრონი,  
რომელიც ამბობს, რომ ეს თოვლი გამარჯვებაა,  
ღვთის სასწაული უგუნურ ადამიანზე,  
მის ქარხნებზე,  
ფაბრიკებზე,  
მანქანებზე,  
ინდუსტრიაზე,  
რამაც ასეთი იშვიათი გახადა თოვლი,  
რამაც ასეთი სანატრელი გახადა თოვლი.  
დილით ადრე სახურავიდან  
გადმოვფერთხავთ თოვლს —  
ღვთის სასწაულს,  
და ალბათ მალე,  
შეიძლება სულაც ერთ დღეში,  
მოწმე გავხდებით მე და იუსუფი,  
როგორ დნება,  
როგორ წყალდება  
დღისასწაული.

პრელი გეპიტევა

შენ ერთხელ მკითხე,  
რაშია სტამბოლის სული?  
ვერ გიპასუხე,  
რადგან მაშინ ტყვევ ვიყავ შენი,  
პატიმარი შენი თვალების და  
მთელ სამყაროს მხოლოდ შენი სარკმლიდან ვჭვრეტდი.  
სუფისტ მეგობარს,  
რომელიც დღიმდე მოქრთს დაძიბს და

ეკრ პოულობს,  
სხამს, რომ იგი ყველაფერშია;  
მეზობლის ქვრივ ქალს,  
რომელიც მორცხვად მაკვირდება შარვლის უბეზე,  
სჯერა, რომ სული საფლავებშია;  
ფილოსოფოსი,  
კვირაში ერთხელ ჩატეული გაზეთის სვეტში,  
გვიმტკაცებს, რომ არ არსებობს, მოგონილია;  
ზღვაშია, ქადაგებდა ბიზნესმენი ბერძენი მღვდელი;  
ხოლო მოხუცინი  
შეფარებული პარკებსა და ქალაქის სკვერებს,  
ამბობენ, რომ ხეებშია, პურქებშია, ყვავილებშია,  
რასაც ჩვენი საამაყო პოლიტიკოსნი  
ყოველდღიურად ებრძვიან და ანადგურებენ.  
შენ ერთხელ მკითხე,  
რაშიან სტამბოლის სული?  
შენ აღარა ხარ,  
ახლა უკვე პასუხი ვიცი,  
თუ გინდა, თავიდან მკითხე...

ପ୍ରକାଶକ ମାର୍ଗଦାର

ერთად აღარ ვართ,  
ეს იმას ნიშნავს —  
დილით,  
უზმობე,  
აღარ ჩახედავ ჩემს ყავის ჭიქას.  
ვერ დამამშვიდებ,  
რომ ლუქუმივით დამიტკპება მალე ცხოვრება  
და ვეღარ შეტყვი,  
რომ მოგროვილი ჭიქის გულში შავი ნალექი  
ნარსულს აღნიშნავს მხოლოდ და  
ამ სიშავიდან მომავლის მზე ამობრნებინდება.  
ერთად აღარ ვართ,  
ეს იმას ნიშნავს —  
ჩვენი ქუჩის დამის სიმშვიდეს  
აღარავინ აღარ გაბზარავს  
და დამშვიდება ძილგატებილი მეზობლის ქალიც,  
აღარც დაგვწყვევლის,  
ვეღარც გაგვთვალაც.

\*  
რად მატყუებდი,  
სიყვარული ის ქვაა,  
რომელიც მხარზე გვაწევს  
და ჩვენთან ერთად ყველაფერს სრისავს.  
სიყვარული ბუმბული ყოფილა,  
ყველაზე მსუბუქი ბუმბული მხრებზე...


ერთობლივი დღე

და იქმნა მნუხერი და იქმნა განთიადი,  
და გაყო ღმერთმა ცა და ქვეყანა,  
ნათელი და ბნელი,  
ზღვა და ხმელეთი  
და ამათ შორის გაავლო ხაზი,  
სამანი,  
მკაცრი საზღვარი.

და იქმნა მნუხრი და იქმნა განთიადი,  
და შექმნა ლმერთმა ადამიანი,  
სახედ თვისად —  
სამოთხედ და ჯოჯოხეთად  
და ამათ შორის არ გავლო ხაზი,  
სამანი,  
მკაფრი საზღვარი.

## პარასკევის აღრობისა

თარგმნა ირაკლი ჭავჭავაძე



თეკლა ქველაძე

სისულეების ტრაქტატი  
პარნოვის 122-ში

გაგა ნაცუცრივშის ნოველებისა და მინიატურების ასალი კრებული — „ბარნოვის 122“ — 2015 წელს გამოცემული „სისულელის ტრაქტატის“ გაგრძელებაა. იქნება ავტორისა და გამომცემლის ჩანაციფრი ასეთი სულაც არ იყო, მაგრამ ასე გამოყიდა: ეს ერთი გრძელი ამბავია ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულზე. ამბავი მეგობრობაზე, სიყვარულზე, ქალაქზე, ადამიანებზე, მთაზე და, პირველ ყოვლისა, სევდაზე — წასულთა სევდაზე, ცოცხლად დარჩენილთა და გადარჩენილთა სევდაზე. ეს არის წიგნები ადამიანებზე, რომლებიც პოეტ გაგა ნახურიშვილის ცხოვრების გზაზე გადაჰყოინ და შემდეგ გაცლიან. მარტო მას კი არა, მთლიანად ამ სამყაროს მოშორებიან და ასე მოგონებებად, ზღაპრებად და ნოველებად დარჩენილან.

ჩვენი მამები, ანუ 90-იანებში დაბადებულების მამები, დედები, ბიძები და სხვანი ალბათ სხედან, კითხულობენ სულის შეხუთვამდე სევდიან ამბებს, იგონებენ იმ პერიოდის თბილსას, ადამიანებს, რომლებიც მათ სივრცეში, მათ ყოველდღიურობაში იყვნენ და მოგონებები ყელში ეჩხირებათ. ჩვენთვის კი ეს ყველაფერი ისტორიაა, ნარსული, რომელიც არ გვახსოვს და ამიტომაც გაგა ნახურიშვილის მინიატურები ჩემთვის დოკუმენტური ნოველებია — ისტორიის სახელმძღვანელოებში ამას ვერ ნაიკითხავთ, ეს რეალური ამბები მეოცე საუკუნის მიწურულის თბილისზეა.

ხშირად ვამბობ ხოლმე, პოეტები სხვანაირად წერენ პროზას. გაგა ნაუკრისტვილის პროზაც ასეთია, რიტმული, მუსიკალური და მთელი წიგნი თითქოს ერთი გაბმული ბალადაა იმ ყველაფერზე, რასაც პოეტი ცხოვრებისაა ძრის!

კითხულობ გაგა ნახუცრიშვილის მინიატურებს და ყოველ სიტყვაში ნაცნობი პორტრეტები და ადამიანები გხვდებიან, მათ ხომ შენც იცნობ, მათ ხომ წინა ნოველაშიც შეხვდი, ან წინა წიგნში ან სულაც გაგას ლექსები ხომ ეს ადამიანები არიან. ის-ის არის, უნდა შეგიყვარდეს, ის-ის არის, შენი ახლობელი უნდა გახდეს და მთავრდება — მთავრდება მათი ამბავი წიგნში და მთავრდება მათი ცხოვრების ამბავიც. შემდეგ გვერდზე ახალი ამბავი იწყება, ახალი სიყვარული, ახალი თავგადასავალი და ახალი სევდა. სანამ თითოეულ წოველას თუ მინიატურას მოიშინაურებ, უკვე წაკითხული გაქვს. გაელვებასავით არის, ზაფხულის გაელვებას ეძახიან თუ რალაც მაგდაგვარს. გაგას პროზა ერთი გაელვებაა, რომ გაგაშუქებს, გაგანათებს და ისე გაქრება, თითქოს არც ყოფილა. ამიტომაც იკითხება ასე, ერთი ამოსუნთქმითა და დიდი სევდით.


სიკვდილი ის მთავარი ამბავია, რომელსაც გაგა ნახ-  
უცრიშვილის ტექსტებში ვერსად წაუხვალთ. ეს ხომ 90-  
იანი წლების მოგონებებია, მაშინდელი თბილისი, ავტორის  
სიჭაპუები. მაშინ იქ ყველანა სიკვდილი იყო, სადღაც მუდ-  
მიდან ვითავსის სიკვდილი წასაღობილობოდა.

თუ ამ ორ წიგნს იღლობაში ამონჩრი, სადმე ვერის ბალ-ში, მყუდრო სკამზე მოკალათდები და კითხვას დაინტებ, იქნებ სადმე პაკო და ხულიგანაც მოგელანდოს, ანდა გიო იოსელიანი შენიშვნო გაგა ნახუკრიშვილის ბავშვობის-დროინდელი მწვანე რვეულით. იქნებ აღარასძროს მოგ-ინდეთ მყინვარწევრზე წასვლა თბილისში დაბრუნების შიშით. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, შეიძლება სასაცი-ლო მხიარულ ამბებზეც აგეტიროს, რადგან ეს ამბები წარსულობი დარჩის და სწორებ ამიტომ არის სკვიდიანი.

თუმცა, მთავარი მანიც სინათლეა, რაც ამ სევდაში ჩანს. ესეც ჰოეტის ჭეშმარიტი მდგომარეობაა — ნათელი სევდა, რომელსაც ადამიანისთვის იმედის, ნუგეშის გაზიარება შეუძლია, რომელიც ყველაზე უკუნ წყვდიად-შივ აგძმოთ ანთაბებს.



## გოგა ჭყონია



### ალექსანდრას სტანსები

სისხლის ტბაში ცურავდა  
საქართველო ჩემი...

ნაპირს? ნაპირს უყვარდა,  
მაგრამ გასცდა გემი.  
ღირსნი წყალმა წაილო,  
უღირსნი კი დავრჩით..  
ეჱ, რას იზამ, რაც იყო,  
ხო არ მორთავ ფარჩით.

ხან რა ცეცხლში შევვარდი...  
ხან გავრბოდი ქშენით.  
კი არ გადამიყვარდი —  
განვიხიბლე შენით.

ქალის ახლაც ცოტა მწამს,  
სხვა რამეზე ვდარდობ:  
განსაცდელის მწარე უაშს  
რო დარჩები მარტო...  
პაპიროსს გააბოლებ,  
უშვერად და ურცხვად,  
ღვინოს დარდს გააყოლებ,  
გააყოლებ, თუმცა

ცეცხლში გინდა შევარდნა —  
დანამულა ნისლით  
კი არ გადამიყვარდა —  
განვიხიბლე მისით...

ჩემი თავის მჯეროდა  
(გარიურაუ — წმინდა!).  
მეგონა, რომ მელოდა  
მომავალი წინ და...  
ვერც ხე დავრგე, ბაბუა,  
ნალია მაქვს ოდად.  
რო შემაქო ჭბუამ —  
ვერ ვამართლებ. ჰოდა,  
მივდივარ და მოვდივარ,  
უცხენოდ და ცხენით...  
უმაღური კი არ ვარ —  
განვიხიბლე... ჩემით.

### მარი

სიყრმემ ისე ჩამირბინა,  
როგორც ლეკვმა ცანცარამ.  
ყაზარმაში ვიდებ ბინას —  
გტოვებ, ჩემო პატარა.

დაკლაკნილა მრუდედ მთები,  
დათელილა კორდები —  
მე მშვიდობით დავბრუნდები,  
შენ თუ დამელოდები...

არ დაგტოვებს ღმერთი ობოლს,  
სხვას არას შეგპირდები.  
რა ვნა, თუ კი ჩემს სამშობლოს —  
საქართველოს ვჭირდები.

დაკლაკნილა მრუდედ მთები,  
დათელილა კორდები —  
მე მშვიდობით დავბრუნდები,  
შენ თუ დამელოდები...

მზე ალაზანს აფრქვევს ქარვას,  
გარინდულა ედემი...  
ღვთისმშობელი დაგვიფარავს,  
თქვენ თუ გვეიმედებით.

დაკლაკნილა მრუდედ მთები,  
დათელილა კორდები —  
ჩვენ მშვიდობით დავბრუნდებით,  
თქვენ თუ დაგველოდებით...

### მგზავრული

თეთრ ზოლს მივყები ლალად,  
ლამის ცარიელ გზას.  
სოფელს ალვიქვამ ბალად,  
ქუდად ალვიქვამ ცას...

მთვარეს ბამბაში ძინაეს,  
ფეხი მერევა მთვრალს,

სულელურ მელოდიას  
ჩემთვის ვლილინებ რას?

ჩემთვის მივდივარ მარტო —  
აბა ვის ვუშლი რას?  
თხელი მაცვა პალტო,  
არც რა მახურავს თავს.

აქ ვარ და თითქოს არც ვარ,  
ვარღვევ სივრცეს და დროს,  
არეულ ფიქრებს ვფარცხავ,  
ვცრი სიგარეტის ბოლს...

მხარი მეცვალა, არ აქვს  
დიღმის იერი გზას —  
მე მგონი გავცდი ქალაქს  
და მთაზე ვხედავ ჯვარს!

საათი რომელია? —  
კითხვას ვიგონებ რთულს.  
ან იქნებ სულერთია  
ეგ ჟველაფერი, თუ...

მთვარეს ბამბაში ძინაეს,  
ფეხი მერევა მთვრალს,  
სულელურ მელოდიას  
ჩემთვის ვლილინებ რას?

### ცაზე აგორდა მთვარე

ცაზე აგორდა მთვარე,  
ამოანათა გზა.  
მოდი, გამკიცხე ბარემ —  
ვერასდროს დაგხვდი მზად.

ფიქრი — ურჩხული ლამის,  
არ ელი — დაგცემს რეტს.  
გადაირიო ლამის,  
შენს თავზე იღებ მეტს...

ფირს ატრიალებ უკან,  
სიტყვას აპრუნებ ძლივს,  
გარემოების რუკას  
მონანიებით შლი.

იქნებ შეგეძლო რამე?  
საქმე თუ არა — თქმა,  
მაგრამ მოვიდა ლამე  
მთვარიან და ბრმა.

შენ ვერ იმართლებ თავს და  
არჩევ კეთილს და ავს  
და ყველაფერი გაცვდა,  
რაც გამართლებას ჰგავს.

გაზაფხულია გარე —  
„ია, ვარდი და ბზა“.  
ცაზე აგორდა მთვარე,  
ამოანათა გზა.



## ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ეკონომიკური სამინისტრო

საქართველოს მთავრობის სამინისტრო

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე ური შერაზადიშვილი  
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577) 742277; (599) 269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

